

ტელეკომპანია "მთავარი არხის" თვითრეგულირების ორგანოს

მოქალაქე მაია გელაშვილის

Maia.gelashvili.3@iliauni.edu.ge

598557599

## საჩივარი

### მოთხოვნა:

დადგინდეს ჟურნალისტ გიორგი გაბუნია მიერ "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" 56-ე მუხლის 1-ლი და მე-7 პუნქტების, 31-ე მუხლისა და 32-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა.

### ფაქტობრივი აღწერილობა:

2020 წლის 17 მაისს, 21:00 საათზე ტელეკომპანია "მთავარი არხის" ეთერში ანალიტიკური გადაცემა „Post Factum“ გავიდა. გადაცემა, ტრადიციულად, მისი წამყვანის, გიორგი გაბუნიას შესავალი მონოლოგით, ე.წ. გაბულოგით დაიწყო. გაბულოგი #33 გაკვეთილი "ქართული ოცნებისგან": როგორ მივიღოთ სიამოვნება გაუპატიურებისგან ისე, რომ არ დავფეხმძიმდეთ - ასე იყო დასათაურებული ვიდეო მთავარი არხის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე და იგივე გაიმეორა გიორგი გაბუნია, გადაცემის მე-15 წუთზე (21:15:37).<sup>1</sup>

### სამართლებრივი დასაბუთება:

---

<sup>1</sup> <https://mtavari.tv/post-factum/4967>

წამყვანმა/ტელეკომპანიამ დაარღვია „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“<sup>2</sup> 56-ე მუხლის პირველი და მეშვიდე პუნქტი, რომლის თანახმად აუდიტორიის შეურაცხყოფის თავიდან აცილების მიზნით მაუწყებელი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდოს შეურაცხყოფელი ლექსიკის გამოყენებას, ასევე დაუშვებელია სექსუალური და ნებისმიერი სხვა ძალადობის მისაღებად წარმოჩენა.

მედიას კრიტიკულად მნიშვნელოვანი როლი აქვს საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის იდეის გავრცელებასა და ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის, სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან საზოგადოების დიდი ნაწილი ქალზე ძალადობის თითოეულ შემთხვევას სწორედ მედიის პრიზმიდან ხედავს, შესაბამისად წამყვანმა/ტელეკომპანიამ დაარღვია მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 31-ე მუხლი, რომლის მიხედვით, მაუწყებელმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი მასალის გამოქვეყნებისგან, რომელიც გააღვივებს სიძულვილს ან არატოლერანტობას რასის, ენის, სქესის, რელიგიური კუთვნილების, პოლიტიკური შეხედულებების, ეთნიკური, გეოგრაფიული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე.

ასევე დაირღვა „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ 32 მუხლის მესამე პუნქტი, რომლის თანახმად მაუწყებელმა პატივი უნდა სცეს ადამიანის უფლებებს და თავისუფლებებს. ვგულისხმობთ, რომ ქართულ საზოგადოებაში, ჯერ კიდევ არის შემორჩენილი სტერეოტიპები, რომლებიც ბევრი ქალისათვის შეურაცხყოფელია. ქალებზე მსჯელობისას უნდა მოვერიდოთ სექსისტური გამოთქმების გამოყენებას, სექსისტური შეფასებებისა თუ შედარებების გაკეთებას.

**სექსიზმი**<sup>3</sup> ნიშნავს დისკრიმინაციულ აზრს, გამონათქვამს, ქცევას, დამოკიდებულებას ერთი სქესის მიმართ. აღნიშნული სიუჟეტის შემთხვევაში შეურაცხყოფელად აღედგინა ქალებისთვის, განსაკუთრებით კი უშვილო

<sup>2</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/82792?publication=0>

<sup>3</sup> <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=6652>

ქალებისთვის გამონათქვამები: „ბერწი“, „შობე, დარეჯან, შობე“. იმ კულტურულ კონტექსტში, სადაც ქალები ხშირად საზოგადოებაში არსებული სექსისტური დამოკიდებულებების და სტერეოტიპების მსხვერპლნი არიან, მედიას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს უსამართლობის დაძლევაში და ქალთა ჩაგვრასთან ბრძოლაში და არა პირიქით, მთელი ძალისხმევა მიმართოს დისკრიმინაციის და სტიგმატიზაციის გასაძლიერებლად.

აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია სტამბულის კონვენციის მე-17 მუხლის დებულებები<sup>4</sup>, რომლის თანახმად მასმედიის რეპორტაჟებში ქალთა მიმართ ძალადობის წახალისების ან/და სექსისტური სიძულვილის ენის გამოყენების პრევენციასთან დაკავშირებით დეტალური მოთხოვნებია გათვალისწინებული, ასევე მნიშვნელოვანია წევრი სახელმწიფოებისათვის მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2013)1 გენდერული თანასწორუფლებიანობისა და მედიის თემაზე.<sup>5</sup>

მართალია ჟურნალისტი მეტაფორულ ენას იყენებს, მაგრამ სადავო სიუჟეტში ჟურნალისტის გამოთქმული ტერმინები მიზოგენურია, რაც შეურაცხმყოფელია ქალებისთვის, კერძოდ ჟურნალისტი მონოლოგში ამბობს: „თუ იცი, რომ გაუპატიურება გარდაუვალია, მოდუნდი და ეცადე მიიღო სიამოვნება.“ მოცემული გამონათქვამი ამჟღავნებს საზოგადოების ქვეცნობიერში ფესვადგმულ სტერეოტიპებს გაუპატიურების მსხვერპლი ქალების შესახებ. აუბრალოებს, ტრივიალურს ხდის გაუპატიურების თემას და ახდენს გაუპატიურების მსხვერპლი ქალების დესენტიზაციას და რევიქტიმიზაციას. ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მეშვიდე პრინციპის თანახმად „ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს

---

<sup>4</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0>

<sup>5</sup> [https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectID=09000016805c7c7e](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805c7c7e)

ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით“. აგრეთვე, გასათვალისწინებელია, ის ფაქტორი, რომ მსგავსი განცხადებები კეთდება ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგულ არხზე, საავტორო ანალიტიკურ გადაცემაში, რომელიც Prime Time-ში გადის და ასევე, ვიდეო ატვირთულია მთავარი არხის ოფიციალურ ვებსაიტზე გვერდზეც, რომელსაც ნახევარ მილიონზე მეტი გამომწერი ჰყავს.

სადავო სიუჟეტში ჟურნალისტი მონოლოგის მსვლელობისას უარყოფით კონტექსტში აჟღერებს უშვილობის თემას და იყენებს ისეთ შეურაცხმყოფელ ეპითეტებს, როგორებიცაა: „ბერწი“, ასევე გამოთქმა „ შობე დარეჯან, შობე“- „... ბავშვი იქ არ არის, „ქართულ ოცნებას“ ცრუ ორსულობა სჭირს“. მსგავსი გამოხატვით ჟურნალისტი გენდერულ როლს ხაზს უსვამს უარყოფით კონტექსტში, რაც გულისხმობს, თითქოს ქალის ერთადერთი მიზანი შვილის ყოლაა, ხოლო უშვილო ქალი არასრულფასოვანია. მსგავსი გამოხატვა უშვილო ქალებში იწვევს რეტრამვირებას. მისი სიტყვები ქალის გენდერულ მსხვერპლად წარმოჩენის წახალისებაა.

ამგვარი არაეთიკური და ემპათიისგან დაცლილი დამოკიდებულება განსაკუთრებით პრობლემურია იმ პირობებში, როცა საქართველოში ფემიციდი, სექსუალური შევიწროება, ოჯახში ქალზე ძალადობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2020 წლის ბოლო კვარტალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად<sup>6</sup> ქალზე ფიზიკური ძალადობის 2191 ფაქტი დაფიქსირდა ოფიციალურად, ხოლო გაეროს ქალთა ორგანიზაციის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და ევროკავშირის მიერ ერთობლივად ჩატარებული კვლევის თანახმად, საქართველოში ყოველი 7 ქალიდან 1 ოჯახში ძალადობის მსხვერპლია.

---


<sup>6</sup> [https://info.police.ge/page?id=330&parent\\_id=102](https://info.police.ge/page?id=330&parent_id=102)

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, “მაუწყებლობის შესახებ“ კანონის<sup>7</sup> მე-14 მუხლის და “მაუწყებელთა ქცევის კოდექსის” მე-9 მუხლის თანახმად, მივმართავ თვითრეგულირების ორგანოს, რათა:

- განიხილოთ საჩივარი და იმსჯელოთ აღნიშნული ნორმების დარღვევის შემთხვევებზე;
- მსგავსი ფაქტების პრევენციის მიზნით, წინასწარ მოახდინოთ არხის თანამშრომლებისა და მოწვეული სტუმრების ინფორმირება ზემოაღნიშნული საკანონმდებლო დებულებების შესახებ.

პატივისცემით,

მ. გელაშვილი



თარიღი: 26/05/2020

---

<sup>7</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=54>